572
1961/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლილა

„ოქვენი, ტუჩები ქალისა,
ოფლსა, ეცვნა მარგალი,
და ბეჭე, ქარგულნი, სწყვეტია
ხასიათი ლაბანისა“

№ 11 საბავშვოდ, ეს. ცენტრალური კომიტეტისა და
ბ. ი. ლენინის სახელობის ფრაკ. კომუნისტ.
ორგანიზაციის რესპუბლიკური საბავშვო ჟურნალი
ნოემბერი
1961

ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმში

— ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმში!—
ეს სიტყვები ღაღად ისმის.
— ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმში!—
თაობა ვართ კომუნიზმის.

— ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმში!—
კარგად ვიცით ჩვენი ვაღი;
ჩვენი სწავღით, ჩვენი გარჯით
ჩვენც ვაშენოთ მომავაღი.

მაღაღია ჩვენი დროშა,
ჩვენი გული მაგარია.
ჩვენც სამშობღოს გავებრძეგითი
ტიტოვად და გაგარინად.

— ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმში!—
ჩვენ ეს ფიქრი გვაღხენს მარად.
მზე დაგვნათის ღენინისა
კომუნიზმის საწინდარად.

ი. ნონეშვილი

სამოლნიი

ა. ანონოვი

ნახატები ბ. ოოთიბაძისა

შორეული ციმბირის სოფლიდან ჰეტროგრადში (ახლანდელ ლენინგრადში) მიემგზავრებოდა მოხუცი გლეხი. გზაში ის ქვეყლას უამბობდა,—ლენინთან მივდივარ და ჩვენს გლეხურ ცხოვრებაზე უნდა ვესაუბროო.

დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ მოხუცმა, როგორც იქნა, ჩაადწია ჰეტროგრადს.

გაიხედ-გამოიხედა; ქუჩებში თოფ-იარაღში ჩაძვდარი მუშები იდგნენ. ჯარისკაცთა ჰოლკმა მუსიკით ჩაიარა. ჰოლკის თავში უზარმაზარი წითელი დროშა მიჰქონდათ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲜᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲡᲚ 13

მოხუცი ერთ წითელგვარდიელს გამოელაპარაკა:

— ეს როგორ უნდა ახსნას კაცმა?

— ასე უნდა აგხსნათ, რომ ახლა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა!—მიუგო წითელგვარდიელმა.

მოხუცი გლეხი ქუჩას მიჰყვებოდა და კითხვა-კითხვით დაეძებდა ლენინს.

— სმოლნში არისო,—უპასუხებდნენ.

კარგა ხანს იარა მთელ ქალაქში და ბოლოს ერთ ვეებერთელა სახლს მიადგა.

ამ სახლის მახლობლად კოცონები ენთო და ტყვიამფრქვევები იდგა. ტყვიამფრქვევებთან მეზღვაურები და ჯარისკაცები ირეოდნენ.

სწორედ ეს იყო სმოლნის სასახლე.

მოხუც გლეხს თვალში მოუვიდა ერთ-ერთი ახალგაზრდა მეზღვაური; ის ქვაფენილზე ქუსლებს უბაკუნებდა, ხელს ხელზე უტაპუნებდა და ასე თბებოდა. ძალიან ცივოდა. ზღვიდან მწარე ქარი ქროდა.

— მინდოდა, ლენინი მენახა!—მიმართა მას მოხუცმა.

მეზღვაურმა მოხუცს ახედ-დახედა და ჰკითხა:

— რისთვის დაგჭირვებია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩამოვედი, რომ ჩემი ცხოვრება გუ-ამბო.

— კომენდანტი ნახე, მია კაცო, და საშვს მოგცემს,—დაარიგა მეზღვაურმა და თან გზაც მიასწავლა.

კიბეზე ჯერი იდგა კომენდანტთან. ფარ-თო საფეხურები ლიპი და ატალახებული იყო; ეტუობოდა, ზედ ბევრ ხალხს აარ-ჩა-ყარა იმ დღეს.

კომენდანტი ნელა უწერდა საშვს. მისი ხელი თოფის ჯრას უფრო მიჩვეული იყო და კალამი ხუთივე თითით გაუბედავად, სიფრ-თხილით ჩაებღუჯა.

საშვი რომ მიიღო, მოხუცი გლეხი სა-სახლეს აუყვა.

პირველ სართულზე მუშები და მეზღვაუ-რები თოფ-იარაღს ისხამდნენ. ისინი თითო-თითოდ უახლოვდებოდნენ წარმოსადეგ, მხია-რულ ჯარისკაცს, ჩაიბარებდნენ იარაღს, ხელს მოაწერდნენ და გარეთ გადიოდნენ. იქ კი რაზმეულებად ეწუობოდნენ და სადღაც მიე-შურებოდნენ. შორით ტუვიამფრქვევების ქუხი-ლი მოისმოდა, — პეტროგრადთან ბრძოლები იყო.

მოხუცი იმ წარმოსადეგ ჯარისკაცს შეე-კითხა:—ლენინი სად იქნებაო?

— ოცდამეთექვსმეტე ოთახში! — მიუგო ჯარისკაცმა და გაუღიმა.

ოცდამეთექვსმეტე ოთახის კარზე ორი წი-თელგვარდიელი იდგა უარაულში: ერთი მათ-განი ხანშიშესული ულვაშოშვებული მუშა იყო შავი პალტოთი, და ერთიც სულ უმაწ-ვილი, ქურთუკიანი ახალგაზრდა.

— ლენინი მინდოდა მენახა!—მიმართა მათ ბერიკაცმა.

ულვაშიანმა მუშამ თავით-ფეხებამდე შეათ-ვალიერა მოხუცი და აუხსნა:

— პირდაპირ, დერეფანს გაუყევი, ლენი-ნი დიდ დარბაზში გამოვა სადაცაა.

მხოლოდ ახლადღა შენიშნა ბერიკაცმა, რომ ყველა იმ დარბაზით მიეშურებოდა. თვი-თონაც იქით გაჰყვა და დერეფნის ბოლოში ფართოდ გახსნილ თეთრ კარებს მიადგა.

იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი.

მოხუცი გლეხი წინ მიიწევდა. ის იყო შეეტია დარბაზში, რომ იქ ერთი ხმაური ატეხა. მოხუცი ჯერ ვერ მიხვდა, რა ხდე-ბოდა. ბოლოს კი გაერკვა: გარშემო ყვი-როდნენ, ტაშს უკრავდნენ, ქუდებს იქნევდნენ. იმ მორთულ-მოკაზმულ დარბაზში თითქის სულ უბრალო ხალხი შეეროლიეო: ზოგი— ფარაჯით, ზოგი—ტყაპუჭით, ზოგიც—ქურ-თუკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცმა თითის წვერებზე აიწია და დარბაზის თავში ლენინს მოჰკრა თვალი.

ვლადიმერ ილიას ძე შემაღლებულზე იდგა და უცდიდა, როდის მიწუნარდებოდა შემახილები. შემდეგ ხელი ასწია,— სიწუნარეს მოითხოვდა.

მაგრამ დარბაზი არ ცხრებოდა და გაისმოდა:

— გაუმარჯოს ლენინს!

ვლადიმერ ილიას ძე შეიჯმუხნა. მერე თავი ვედარ შეიკავა და გაეღიმა. შემახილებმა იმატა:— ლენინს გაუმარჯოსო.

ლენინმა ხელები გაშალა. ცოტა შეიცადა და ისევ ასწია მარჯვენა ხელი. შემდეგ ეტყობა გადაწყვიტა, რომ ყურადღება აღარ მიექცია ხმაურისათვის, წინ წამოიხარა და დაიწყო ლაპარაკი. მაშინ კი უცბად გაუჩდა დარბაზი.

— ამხანაგებო,— თქვა ლენინმა,— მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობაზე ბოლშევიკები ყოველთვის ლაპარაკობდნენ, უკვე მოხდა.

ლენინი ლაპარაკობდა ახალი ცხოვრების შესახებ; საბჭოთა ხელისუფლების შესახებ; რომ დროა, ომი დამთავრდეს, რომ მიწა ჩამოერთმევათ მემამულეებს და გადაეცემათ გლეხებს.

ბერიკაცი უსმენდა ვლადიმერ ილიას ძეს. მის თითოეულ სიტყვას ჩასწვდა, გასაგები იყო მისთვის.

ლენინმა დაამთავრა სიტყვა. მაშინ მოხუცს თავისი სოფელი გაახსენდა: იქ უნდა მოუთხროს ლენინის ნათქვამი! ადგა და დერეფანს დაუყვა, რომ ფართე კიბეებით დაშვებულიყო გასასვლელისაკენ.

ვიღაცამ შეუძახა. მოხუცმა მიიხედა და ის ახალგაზრდა მეზღვაური იცნო, წედან რომ სმოლნის მახლობლად იდგა.

— რა ჰქენი, მამილო, ესაუბრე თუ არა ლენინს შენს ცხოვრებაზე?— ჰკითხა მან სიცილით.

— არა, მე კი არა, თვითონ ლენინი მესაუბრა ჩემი ცხოვრების შესახებ,— მიუგო მოხუცმა გლეხმა.

თარგმანი ლ. ზ—ხა

პაიტაში

ამ ცოტა ხნის წინათ უნგრეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვიმოგზაურე. ვნახე უნგრელი პიონერები. მათ შესახებ მინდა ზოგი რამ თქვენც გიამბოთ:

„პაიტაში“ უნგრულად პიონერს ნიშნავს. უნგრელი პიონერებიც თქვენსავით წითელ ყელსახვევს ატარებენ. ოქტომბრელებს კი ლურჯი ფერის ყელსახვევი აქვთ. სანამ ოქტომბრელი პიონერი გახდებოდეს, მოსამზადებელ ჯგუფში მიიღებენ და ოქტომბრელის ლურჯ ყელსახვევს წითელ არშიას შემოუვლებენ. ამ ჯგუფში მოსწავლემ უფრო უკეთ უნდა ისწავლოს, კარგი ყოფაქცევით თავი გამოიჩინოს, რომ პიონერად მიიღონ და პაიტაშის წითელი ყელსახვევი გაუკეთონ.

ყველამ იცით, რომ 19 მაისი ჩვენი პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეა. მაგრამ ყველამ როდი იცის, როდის დაიბადა უნგრელი პიონერების—პაიტაშების ორგანიზაცია.

უნგრეთში პიონერული ორგანიზაცია 1946 წელს შეიქმნა. წელს უნგრელმა პიონერებმა თავიანთი ორგანიზაციის დაბადების თხუთმეტი წლისთავი იზეიმეს. პაიტაშების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ყოველ წელს ახალ-ახალი გასახარელი ამბებით ხვდებიან.

ალბათ გახსოვთ, ქართველი პიონერების მიერ შეგროვილი ლითონის ჯართით საელმავლო დეპოს მუშებმა ელმავალი რომ გაუშვეს. უნგრელმა პიონერებმაც შეაგროვეს ლითონის ჯართი, მუშებმა გადაადნეს და ომის დროს დანგრეული დედაქალაქის ბუდაპეშტის ულამაზესი ხიდი ხელახლა ააგეს.

პაიტაშები მხარში უდგანან უფროსებს. დაიწყეს თუ არა ქალაქ ჯონჯოშის მახლობლად საბავშვო რკინიგზის გაყვანა, პიონერებიც იქვე გაჩნდნენ. ზოგი მიწის დატკეპნაში შველოდა, ზოგი ხრეშის მოზიდვაში. შრომა მათთვის სახალისოა, პიონერებს გარჯა არ ეზარებათ.

პაიტაშები თავიანთი ხელით ამზადებენ ალბომებს, ლამაზად აფორმებენ და საბჭოელ თანატოლებს პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავის ზეიმზე გამოუგზავნიან.

სასწავლო წლის დამთავრებას მთელი უნგრეთი ყოველთვის დიდი ზეიმით ხვდება. ეს დღე მასწავლებლის დღედ არის გამოცხადებული. მოსწავლეებსაც თავიანთი წვლი-



ლი შვაქვთ ხოლმე ამ ზეიმზ.. საყვარელ მასწავლებლებს ზოგი საკუთარი ხელით გაზრდილ ყვავილს მიართმევს, ზოგი—ფერადი ძაფებით მოქსოვილ ხალს, ლერწმისაგან დაწნულ კალათებს, ნაძერწ ქანდაკებებს. მერე ბავშვები კონკერტსაც გაუმართავენ ხოლმე მასწავლებლებს.

ერთხელ ქალაქ დებრეცენის საშუალო სკოლის მოსწავლე პიონერმა მარია ტოკაჩმა დაიზარა რითიმე აღენიშნა მასწავლებლის დღე. დედას ფული სთხოვა და საჩუქარი უყიდა მასწავლებელს. ეს ამბავი მისმა თანატოლებმა რომ გაიგეს, გაკიცხეს მარია:

— შენ გგონია, მასწავლებელს ნაყიდი საჩუქრით უფრო ასიამოვნებ?—ისმოდა აქეთ-იქიდან პიტაშების ხმა.

მარია მიხვდა თავის შეცდომას. რამდენიმე დღის შემდეგ დარცხვენილი გოგონა მასწავლებელს ეწვია და პლასტელინისაგან თავისი ხელით გამოძერწილი ქანდაკება მიუძღვნა.

მასწავლებელმა ჩამოართვა საჩუქარი და შუბლზე აკოცა.

თ. სახაროვი

ნახატები მ. ახობაძისა

ჩემი ძმა

ილია სიხარულიძე

მე დედიკომ ამას წინათ
ძმა მომეკვარა ჰაწაწინა,
დედა ეუბნა რომ აწოვებს,
თითქოს ღვიძავს, სხვა დროს სძინავს.
ბევრჯერ ვთხოვე დედას, მაგრამ
ლოგინში არ ჩამიწვინა.

როცა სძინავს ჩემს ძმიკოს,
ფეხაკრეფით დავალ ფრთხილად,
გუშინ ჩუმად ჰირს ავხადე
და თვალები გაახილა.

ჯერ აკვანში უნდა იწვეს,
მეეკვარს მისი აკვნის რწევა,
იგი მალე გაიზრდება,
მე დავუცდი, დამეწევა.

რომ იცოდეთ, როგორ უყვარს
ჩვენს ბიჭუნას ტანის ბანა,
რა კარგია, რომ დედიკომ
მე ძმიკო მომეკვანა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩიტას თავგადასავალი

ხუმა ბერულავა

1

ვაი გიდი, აჩიტა,
რომ არა ჰყავს ბაჩიტა!
აგონდება ბიჭუნას
საყვარელი ძმობილი,
უბედური ბაჭია,
შავ ვარსკვლავზე შობილი.
აგონდება და მაშინ
აღარ უნდა თამაში,
აღარ უნდა ზღაპარი,
აღარც მწვანე ფანქარი.
ჩამოჯდება კიბეზე
და გაშლილი თვალებით
ზეცას მიაჩერდება
თითქოს ნამტირალევი.
ეს პატარა თვალები
როგორები არიან,
მაინც ამ სიშორეზე
საით მიუხარიათ!
სად მიქრიან ოცნებით,
ისე, როგორც ფრთოსნები.
ვინ დასძრახავს აჩიტას
ამ ოცნების გულისთვის,
სანახავი ბევრია,
დასაპყრობი—ურიცხვი.
რამდენია პლანეტა
ცის ტატნობზე, ვინ იცის!
იქნებ მათაც შენიშნეს
სილამაზე თბილისის.
იქნებ დაკაშკაშებენ
საგანგებოდ ამ მხარეს,
რომლის ხილვა
ვარსკვლავსაც
აცოცხლებს და ახარებს.
იქნებ... ვიდრე ბიჭუნა
გარინდული უყურებს
უგზოუკვლოდ გაფანტულ
იმ შორეულ შუქურებს,
გავაგრძელოთ კვლავ
მშვიდად
„აჩიტა და ბაჩიტა“.

2

როცა რიგის ქუჩაზე
გამოჩნდება ხანდახან,
უყვირიან ბიჭები:
— ძმაო აჩო, სადა ხარ!—
ძველი სახლის დარაჯი
ცერად ახედ-დახედავს:
— კაი კაცი თუ იყავ,
რად გაიქეც აქედან.—
საყვედურობს ვანიკო:
— რომ ძმაკაცი არ იყო,
კიდევ გეპატიება
დავიწყება ამ სახლის...—
ეხვევიან აჩიტას
თემურიც და მალხაზიც.
თავს იმართლებს აჩიტა
მეგობრების წინაშე:
— გადავედით ბარნოვზე,
უფრო ფართო ბინაში!
მენატრებით ყველანი,
მენატრებით ძალიან,
მაგრამ ბაღში დავდივარ,
უკვე აღარ მცალია...—
ერთხელ, როცა მეგობრებს
კვლავ ეწვია აჩიტა,
სტუმრად ქცეულ მეზობელს
შეეგებნენ ტაშითა.

უცებ ადგა დიმიტრი
და შინისკენ გაიქცა.
—ახლავ წერილს მოგიტან,
არ წახვიდე, დაიცა!—
ყველამ სტუმარს შეხედა,
წაიკითხავს თუ არა?
ბიჭის სახეს სიწითლის
ელვამ გადაუარა:
წერა-კითხვა არ იცის
და არა სწერს არავის.
ჩვენს ბიჭუნას შეეტყო
შიში დაუფარავი...
რეზომ გახსნა ბარათი,
წაიკითხა ხმამაღლა:
— ჩვენთვის, ძმაო აჩიტა,
შენ უცნობი არა ხარ,
შენი ყველა ამბავი
წიგნმა ჩამოიტანა,
კეთილ სალამს გიგზავნით
ამ შორეულ მთიდანაც.
მთიდან-მეთქი, ლენტეხი
ალბათ გაგიგონია,
იქ ყველანი მიცნობენ,
როგორც გაგი ონიანს.
ყოჩაღ! ვიცი, ბაჩიტას
მართლა ძმობას უწევდი,
ხელისგულზე ისვამდი,
მუდამ თვალში უცქერდი,
მაგრამ ციცვად რად შეხვდი
იმ საცოდავ ბაჭიებს?
იქნებ მოკვდნენ შიმშილით
ან ფეხები გაჭიმეს... —
ელდა ეცა აჩიტას,
არ ელოდა ამ წერილს,
ჯერ არ უთქვამს არავის
საყვედური ამგვარი,
ასე გულის დამწველი!

3

ძილში ნახა ბიჭუნამ
ამისთანა სიზმარი:
...მინდორზე დგას ბაჩიტა,
დიახ, სწორედ ის არი:
თოვლისფერი ბაჭია,
ბუნჩულა და პაწია.
ხედავს ძია ლონგინოზს
მისკენ მიჰყავს მანქანა,
მოუმატა სისწრაფეს,
აი, კიდეც გაქანდა.
მაგრამ მოხვდა საბურავს
წვეტიანი ლურსმანი,
დაიხია მანქანამ
უკან-უკან კუსავით.
გადაურჩა ბაჩიტა
და ეს უთხრა აჩიტას:
—მეგობარო, ნუ ნაღვლობ
მე აქა ვარ, არ გესმის,
შემომხედე ყურებზე,
შემომხედე თვალებში.
შენ ისა თქვი, სად არის
ორი ჩემი ბადალი,
იქნებ ტყეში გაიქცნენ
და დადიან უშენოდ,
იქნებ სცივათ, სწყურიათ
და რითიმე უშველო!
მეგობრობას გაფიცებ,
იმ ჩვენს ძმობას გაფიცებ,
შეეშველე ცანცარებს,
ჩემს საბრალო ძმაბიჭებს...—
და სიზმარი დამთავრდა,
როგორც დედის ზღაპარი,
წამოდგა და რას ხედავს:
თეთრად ბრწყინავს მთა-ბარი!

4

— მამა, მამი, მამიკო,
შენი ბიჭი არ ვიყო,
თუ კიკეთში ხვალ დილას
არ წამიყვან ნამდვილად!—
შეეხვეწა აჩიტა
გვიან მოსულ მამამისს.
—დრო სადა მაქვს ამისთვის,
ღონე სად მაქვს ან ამის.
დამასვენე ცოტა ხანს,
ჰქენი ესე სიკეთე!—
თქვა მამამ და... კვირა დღეს
ინახულეს კიკეთი.
თოვლი,თოვლი და თოვლი
ქათქათებდა გარშემო.
ბიჭმა ბაკურიანში
იგრძნო თავი, ბავშვებო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელში ჯოხი ეჭირა,
თავზე თბილად ეხურა,
თუმცა ქურქიც ეხურა,
თრთოდა, როგორც
ბელურა.

თრთოდა, მაგრამ ჯიუტად
მიიწევდა ტყისაკენ,
ერთნაირად მოჩანდა
მიწისა და ცის სარკე.
არსად ორი ბაჭია,
უმწეო და პაწია!
არ იცოდა აჩიტამ,
სად ცხოვრობდნენ ისინი,
იქნებ ჰკლავდათ შიმშილი
ანდა ქარის სისინი.
— მართლა ჩემი ბრალია,
რომ არა ჰყავთ პატრონი,
ამ ცარიელ ეზოში
რას იზამდნენ მარტონი.
ალბათ შიათ, სწყურიათ
და არ ხედავს არავინ,—
მამას გაუზიარა
დარდი დაუფარავი.
— აჩო, არჩილ, აჩიტა,
შენ იყავი გულმშვიდად,
შენი ორივ ბაჭია
აქა ცხოვრობს უშიშრად.

პაონერი ვახტანგი
თავს ევლება ცანცარებს,
შენი თვალით შეხედავ,
ოღონდ ცოტა მაცალე!—
უთხრა მამამ ბიჭუნას
და შეჰღიმა კეთილად.
შვილსაც ბედნიერების
შუქი გადაეფინა.
—მართალს ამბობ, მამიკო?
არა ხუმრობ, მამიკო?—
ახტა, დახტა აჩიტა,
ისე როგორც ნარჩიტა.
დაქანებულ მინდორზე
თოვლი იდო კრიალა
და აჩიტას ძახილმა
თოვლზე გაიწკრიალა:
— გამარჯობა, ნაცარა!
გამარჯობა, ცანცარა!
შემირიგდით ორივე,
თქვენ გეძახით, სხვას არა.—
გამოცვივდნენ
კურდღლები,
არ სტკიოდათ მუხლები,
აშრიალდნენ ნაძვები,
აშრიალდნენ მუხები.
ტყეშიდაც და ბაღშიდაც
ჟრიამული გახშირდა:
— გაგიმარჯოს, აჩიტა!
— გაგიმარჯოს, აჩიტა!

ნახატები ბ. ბელოვანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძივი

ნ. ბეჭარაშვილი

ვიწრო ბილიკზე მიმავალ მანანას ტირილის ხმა მოესმა. შეჩერდა და იასამნის ბუჩქებთან ატუზულ ხუთი-ექვსი წლის გოგონას თანაგრძნობით ჰკითხა:

— რა გატირებს, მზია, ხომ არ წაიქეცი?

— არა, არ წავქცეულვარ.—ტირილით უპასუხა მზიამ.

— მაშ, რად ტირი?

— ღიას მძივი აქვს. ვეხვეწე, ცოტა ხანს მათხოვე-მეთქი, მაგრამ ხელიც არ მახლებინა,— თავის უფროს დაზე ჩიოდა გოგონა.

— მერე, მაგაზე ტირი?—კარგა ხნის ღუმილის შემდეგ უთხრა მანანამ.—ბებია კეკესთან მივდივარ. შენც წამოდი. ისეთ მძივს გაგიკეთებ რომ...

მზიამ ნამტირალევი თვალები მანანას მიაშტერა: უნდოდა ეთქვა: „მატყუებ, შენ მძივის გაკეთება არ შეგიძლიაო", მაგრამ ამის თქმა ვერ მოასწრო. მანანამ ხელი ჩაჰკიდა მზიას, სირბილით დაეშვა და ისიც გაიყოლია. გოგონები ძეძვით შეღობილ მეზობელ ეზოში შევიდნენ. ვეება თუთის ქვეშ ხმელი ღობიოს გროვა იდგა. მის გვერდით მიმჯდარიყო ბებია კეკე, თითო-თითო ძირს იღებდა ხელში, ღობიოს პარკებს ჰკრეფდა და ხახალზე ჰყრიდა.

— აი, შე ეშმაკო, გუშინ რომ შემპირდი, ხვალაც გიშველიო, ღღეს სად დაიმალე?—უსაყვედურა ბებია კეკემ მანანას.

— ღღესაც გიშველი, ბებია, ღღესაც. აი, მზიაც მოვიყვანე. ესეც დაგეხმარება. მხოლოდ ცოტაოდენი ნედლი ღობიო უნდა მოგვცე.—ხვეწნით უთხრა მანანამ.

— ნედლი ღობიო? რამდენიც გინდათ, ოღონდ ხელი წამახმარეთ!

გოგონები ბებია კეკეს მახლობლად ჩამოსხდნენ. გაჩაღდა მუშაობა. გამაღებით ჰკრეფდნენ ღობიოს პარკებს; ხმელს ცალკე აგროვებდნენ, ნედლს—ცალკე. მზია ისე გაერთო ღობიოს კრეფაში, რომ მძივი დაავიწყდა კიდეც. მაგრამ მანანას ისევ ახსოვდა თავისი დაპირება.

როცა საქმეს მორჩნენ, მანანამ მზიას მუჭით ნედლი ღობიოს პარკი ჩაუყარა კალთაში:

— შენ დაჩურჩე. მეც ახლავე მოვალ.—უთხრა და შინისაკენ გაიქცა. მზია ახლაც დაემორჩილა მანანას. პაწია თითებით ღობიოს ჩურჩვას შეუდგა. არ გასულა დიდი ხანი და მანანაც მოვიდა. თან ნემსზე აგებული გრძელი ძაფი მოიტანა. მზიას გვერდით მიუჯდა, მისი კალთიდან ღობიოს ერთი მარცვალი აიღო და ნემსზე აებნია. იმას სხვებიც მიაყოლა. მაღე წითელი, ყვითელი და კატის თვალებივით ჭროღა მარცვლებით აავსო ძაფი. მერე ფრთხილად გამოაძრო ნემსი მანანამ, ძაფის ბოლოები ერთმანეთზე გადააბა და მზიას ორფად გადაჭიდა ყელზე.

— ხომ კარგი მძივია?

მზიამ სიხარული ვერ დამალა.

— კარგია, ძალიან კარგი. ღიას მძივს სჯობია, ის მთლად თეთრია, ეს კი ათასფერი.—შესცინა გახარებულმა გოგონამ და გაიქცა, რომ ღობიოს მარცვლების მძივი ყველასათვის ეჩვენებინა.



ᲜᲘᲜᲜᲘᲜᲐ

ᲔᲛᲘᲚᲘ ᲑᲐᲚᲘᲐᲒᲐᲡᲘ
კუბელი პოეტი

ნახატი Ზ. ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡᲐ

დაიძინე, დარდს ნუ მკითხავ,
მოვიცილოთ დარდი.
შენ ვარდი ხარ!
შაქარი ხარ!
შაქარი და ვარდი!

დაიძინე, ზანგის ბიჭო,
ვინ მყავს შენისთანა.

შაქრის კბილო,
შაქრის კიჭო,
ვარდის ტუჩო, ნანა.

ყვავილივით გაიშლები,
ჩემო უშიშარო,
და მოკრივედ გაიზრდები,
ჩემო ნატვრის თვალო!

ცრემლიანი რად გაქვს თვალი,
ჩემო ტკბილო ბალდო?
დადის ავი კუდიანი
ჩვენი სახლის ახლოს.

ჩუ, ბიჭუნავ, მაღლა ცაზე
უმეე ქრება ხომლი,
კუდიანი მოგიტაცებს
შავი ჯვალოს ტომრით.

ჩუ, არ სძინავთ მხეცებს, ბნელა,
კარის უკან დგანან.
სათითაოდ გავერი ეველას,
ნანა, ვარდო, ნანა!

დაიძინე, ბიჭო, მალე,
ცრემლი შეიმშრალე.
მე შენს ღიმილს ვენაცვალე,
შენს ცრემლიან თვალებს!

დაიძინე, დარდს ნუ მკითხავ,
მოვიცილოთ დარდი.
შენ დარდი ხარ!
შაქარი ხარ!
შაქარი და ვარდი!

შენი მამის აკვნის კვნესა
ბნელში გეესმის მხოლოდ.
და სიმღერას, შვილო, ჩემსას
აღარც კი აქვს ბოლო.

ვინც ძილს გიფრთხობს,
ბიჭო, ეველას
გავერი სახლიდანა,
დაიძინე უდარდელად,
ნანა, ვარდო, ნანა!

თარგმნა Რ. ᲨᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘᲫᲔ

პირველი ასოებით ამოიკითხეთ რა სწერია?



რებუსი შეადგინა სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის საშუალო სკოლის მოსწავლემ
ნინო ხატიაშვილმა

ხერხი ჯობია ლონესა...

ლიტვურ საბავშვო ჟურნალ „გენისი“-დან

ხოხბის ჭუჭულები

ალ. ჩხენკელი

ნახატი ი. არღიშვილისა

ეს ამბავი საინგილოში მოხდა. ერთ დილას დიდედამ აიღო კალათა და ღანძილის მოსაგროვებლად ტყეში წავიდა. თავისი შვილიშვილი ნანა თან წაიყვანა. ტყე თითქმის ეზოს ეკვროდა. ამიტომ მათ შორს არ დასჭირვებიათ წასვლა. ბუჩქებსა და ბუჩქებს შორის ბლომად იყო ამოსული ნორჩულორტიანი ღანძილი.

დიდედამ და შვილიშვილმა მალე აავსეს კალათა და ის იყო უკან ბრუნდებოდნენ, რომ ბუჩქებიდან ხმაური შემოესმათ. ისინი შეჩერდნენ, ყური მიუგდეს, ხმაური უფრო გაძლიერდა.

უცებ რაღაც გადმოფრინდა ბუჩქებიდან, თავს გადაევლო მათ და ისევ ბუჩქებში გაუჩინარდა.

ნანა გაოცებული შესცქეროდა ფრინველს.

— იცი, ეს რა არის?—უთხრა დიდედამ ნანას,—ეს ხოხობია. იგი გაზაფხულზე დებს კვერცხებს და ჩეკავს პატარა უვითელგულიან, ლამაზ ჭუჭულებს. იქ კვერცხები იქნება ბუჩქებში, ჩვენ შევუშალეთ ხელი, დავაფრთხეთ.

დიდედამ ძებნა დაუწყო და მალე აღმოაჩინა ბუდეში ჩადებული მომწვანო ფერის კვერცხები, ვარიის კვერცხებზე ოდნავ პატარები.

— აი, დაუტოვებია, ხედავ? ახლა იგი დიდხანს არ მიეკარება ამ ადგილს, კვერცხები გაცივდება და გალაყდება.

დიდედამ ფრთხილად აკრიფა კვერცხები, კალათაში ჩაალაგა, ფალას-ფულასი წააფარა და ზემოდან ღანძილი დააწყო, რომ არ გაციებულიყო.

როცა შინ მივედით, კვერცხები კრუხს შეუწყო ფრთებქვეშ.

გავიდა ოცეიოდე დღე. ერთ დღეს რაღაც ხმაური გაისმა ბუდიდან: წიკწიკებდნენ პატარა ჭუჭულები, კვერცხის ნაჭუჭს ებრძოდნენ შიგნიდან თავიანთი უვითელი ნისკარტით.

მეორე დღეს დიდედამ ჭუჭულები ამოსვა ბუდიდან, საკენკი დაუყარა და ოთახში გაუშვა.

— იცი, რა გითხრა, ჩემო საყვარელო,— უთხრა ერთ დღეს დიდედამ ნანას,—ხოხბებს ძალიან უყვართ თავისუფლება, აი, ხომ ხედავ, როგორ იწევენ ტყისაკენ.

გავიდა კიდევ ორიოდე კვირა. ჭუჭულები წამოიჩიტნენ, ფრთები დაეზარდათ, ბუმბული ნაირფერად აუელვარდათ.

ერთ დილით ადრე წამოფრინდნენ ბუდიდან, საკენკს არც კი შეხედეს, ზღურბლს გადაევლენ, ეზოში გამოეფინენ და მაშინვე ტყისაკენ ჰქნეს პირი. მათ უკან აედევნა შეშფოთებული კრუხი. მაგრამ ჭუჭულებს მისთვის არც მოუხედავთ. ერთი კი შეჩერდნენ, თითქოს რაღაც უჩურჩულეს ერთმანეთსო, იმავ წუთს შეფრთხიალდნენ და ტყეში გაუჩინარდნენ.

დათუნია-ბაჯბაჯა

შ. ცხადაძე

ნახატები ავტორისა

დღეს ძალიან გულმოსულია ჩვენი დათუნია-ბაჯბაჯა, წარმოიდგინეთ, არც ერთი დღე არა აქვს მოსვენება მელია-ცლანგასაგან, ხან რა ოინს მოუწყობს და ხან—რას. აი, დღესაც ისე მოაწყო საქმე იმ ოინბაზმა, რომ მგელს ერთი გემრიელად აცემინა შინდის ჯოხით. ძლივს მიათრია დაბეგვილი წელი სახლამდე. კრუსუნითა და ბურდღუნით წამოწვა სახლის წინ მდელოზე. გადასწყვიტა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მოიფიქროს რამე ოინი და იმ გაიძვერას სამაგიერო გადაუხადოს.

დაიწყო ფიქრი... ფიქრობს, ფიქრობს ბაჯბაჯა და რომ ეგონა, რაღაც მოვიფიქრეო, დედამ გამოსძახა სახლიდან:

— შვილო, ბაჯბაჯ, რას ოხრავ, რა მოგვივიდა, კიდევ იმ შეჩვენებულმა მელია-ცლანგამ ხომ არ დაგიტრიალა ოინი?

— ჰო, დედი, ჰო,—ამოიბურდღუნა დათუნამ.

— ვაი, ეგ კი მენახოს მონადირის ზურგზე გადაკიდებული, ეგ არ დასაცალებელი, ეგა!—ასეთი მოწყენილი რომ დაინახა თავისი ბაჯბაჯა, დედა დათვი შებრუნდა შინ და მოზრდილი ქილა გამოიტანა.

— აი, შვილო, გალმა მუხნარებში გადი, დღეს ჩვენებიანთ დათუნია-კოტრიალას დღეობა აქვს, მიულოცე და ეს თაფლი მიართვი. თან გულსაც გადააყოლებ.

თაფლიანი ქილის დანახვაზე დათუნია ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა ალარ დაამთავრა, ჩაჰყო თავი შიგ, ძირზე დარჩენილი თაფლის გასალოკად. კარგად რომ ამოსვლიპა, გაიფიქრა:

ესეც ასე!.. ახლა კი დროა, საქმეს შევუდგეო და ქილიდან თავის ამოღება დააპირა. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!... ბევრი ეჯაჯგურა ხან აქედან, ხან—იქიდან, მაგრამ ვერა და ვერა... კინალამ ყურები აეხა.

გამწარდა დათუნია და დაიწყო საბრალოდ ღმუილი. სად იყო და სად არა, ბუჩქებიდან თავი გამოჰყო მელია-ცლანგამ. ამ ყოფაში

სიათზე მოვიდა, წამოდგა, მოხვია თათები ქილას და ბურტყუნით გაუდგა გზას.

მიდის ჩვენი ბაჯბაჯა. კარგა მანძილი რომ გაიარა, გადასწყვიტა, ახლა კი დროა დავიწყო ფიქრი სამაგიეროს გადახდაზეო. მაგრამ ეს რა მოსდის? პირი ნერწყვით ევსება, ცხვირში თაფლის სუნი უღიტინებს და მთელ ტანში სასიამოვნო ჟრუანტელი უვლის. სხვა რამეზე ფიქრი ალარ შეუძლია. მიდის და ფეხები ებლანდება. შეეშინდა, ქილა არ გავტეხოო, მაგრად მიიკრა გულზე და იქვე კუნძზე ჩამოჯდა. გონს რომ მოვიდა, თქვა:

— ეჰ, ეს თაფლი პირდაპირ ჩემი მტერია. ეს რომ არა, აქამდე რამე ოინს მოვიფიქრებდი. თავიდან უნდა მოვიცილო! მაგრამ როგორ? უნდა შევჭამო, აბა, ხომ არ გადავღვრი?

დათუნია ეცა ქილას, მოხსნა თავი და ხარბად დაუწყო სვლეპა. კარგა ბლომად ჰქონდა თაფლი შეჭმული, რომ დედის ნაამბობი ზღაპარი გაახსენდა: აი, ის, მელიას თავზე ქილა რომ ჩამოაფხატეს. მოვიფიქრე! ქილაც მაქვს, მეტი რაღა მინდა?! ახლა კი ვუჩვენებ სეირს იმ წითურას, იმას! ბიჭი არ ვიყო, თუ...

რომ დაინახა ბაჯბაჯა, სიცილი აუტყდა. მიუახლოვდა და შეცვლილი ხმით უთხრა:

— რა მოგვივიდა, ჩემო დათუნია, რა გაგჭირვებია?

— ვინა ხარ, მიშველე, ხომ ხედავ, თავი გამეკვეხა ქილაში!

— ციყვი ვარ, დათუნია, ციყვი. სად შეიმიძლია მაგოდენა ქილას დაეჭიდო!—უპასუხა ცლანგამ. —მოდი, ქვით გავტეხავ მაგ ქილას და გაგანთავისუფლებ.

— ეგ არ გაბედო, შე ბრიყვო! ამ ქილით მელია-ცლანგას უნდა ვაყურებინო სეირი. სხვა რამე მოიგონე, ისეთი რომ ქილა არ გამიტეხო.

უყურე ამ ბაჯბაჯას!—გაიფიქრა ცლანგამ გუნებაში,—თუ აგრეა, მე თვითონ გიჩვენებ სეირსო,—და უთხრა:

— წამოდი, დათუნია, მაშინ ექიმ ზღარბთან წაგიყვან, ის გიხსნის გაჭირვებისაგან.

ჩაჰკიდა თათი მელიამ და გაუდგნენ გზას. ვერაფერს ჰხედავდა დათუნია, ბრმასავით მიჰყვებოდა. ბევრი იარეს, თუ ცოტა, ცლანგამ დათუნია პირდაპირ ბოროტი მგლის სახლს მიაყენა.

— აბა, დათუნია, უკვე მოვედით,—და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კარზე ბრახუნი ასტეხა. მერე გაიქცა და ბუჩქებში მიიმალა.

ხმაურზე კარი გაიღო და მგლის ლეკვებმა გამოჰყვეს თავები. ასეთი უცნაური მხეცი რომ დაინახეს, შეშინებულებმა წივილ-კივილი მორთეს და შინ შევარდნენ ყვირილით:

— მამილო, გვიშველე, გვიშველე!

მამა მგელმა შინდის ჯოხს დაავლო თათი და ღრენით გავარდა გარეთ. ქილაჩამოფხატული დათუნია რომ დაინახა, საზარელი ხმით შესძახა:

— ვაი, შე ბაჯბაჯა, ახლა ეს ოინი მოგიგონებია ჩემი ლეკვების დასაფრთხობად?!

ამ სიტყვებზე დათეს ჯოხი მოუქნია და ქილა თავზე დაატეხა. შეატყო დათუნიამ, ცუდად არის საქმეო, მოტრიალდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ძუნძულით დაეშვა თავქვე. გამოუდგა მგელი, დაეწია და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი, უთავაზა ზურგში ბაჯბაჯას. ბოლოს კვახივით მრგვალ თავში ჩასცხო და მიანება თავი. საწყალ დათუნიას დაებრიცა ფოლაქივით მრგვალი თვალები და გულწასული გაგორდა ბალახებში.

მგელი ხეებს რომ მიეფარა, ბექობზე მელია-ცლანგამ ამოჰყო თავი, დაეშვა მწვანე ფერდობზე და მინდორზე გაშლილ დათუნიასთან მიცუნცულდა. შეანჯღრია. ბიჭოს, არ ინძრევა. აუწია ქუთუთოები, გაუსინჯა მაჯისცემა და ცოცხალიაო, ეშმაკურად ჩაიცინა.

გაცუნცულდა მელია-ცლანგა, მონახა თხრილში ჩაგუბებული წყალი, ჩაჰყო შიგ კუდი, დაასველა, მობრუნდა დათუნიასთან და კუდით დაუწყო წყლის მისხურება სახეში. ასე გაუმეორა რამდენჯერმე.

დათუნიამ თვალები გაახილა, მელია-ცლანგა რომ დაინახა, ჯერ გული მოუვიდა, უნდოდა, ეყვირა: ვინ მიბედავს ამასო! მაგრამ სველი კუდი ესიამოვნა, თან გაუკვირდა, მე რას ვუპირებდი და ეს კი როგორ მივლისო.

— კარგი, ცლანგა, გეყოფა, უკვე კარგად ვარ,—უთხრა დარცხვენით და წამოჯდა.

— ესეც ასე, ჩემო დათუნია, ახლა კარგად ხარ. სახლშიც გაგაცილებდი, მაგრამ ასე ხომ ვერ გამოგვყვები, კუდი მაქვს გასაშრობი.

დათუნიამ მადლობა გადაუხადა მელია-ცლანგას და თავისი კოპიანი თავით ბუნაგისაკენ წაბაჯბაჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. გავრილოვი
ნახატი ე. ამბოკაძისა

ჯანჯინა სპილო რამი

1

ხმა გავარდა ზოოპარკში,
კაჭკაჭებმა დაჰკრეს ტაში.
— დაიბადა სპილო რამი,
არის ასი კილოგრამი.—

ყვირის ზღარბი:—ეჰე, მოდით!
— რაო?—ამბობს ბეჰემოთი,—
ასი კილო არის ვითომ?!
არა, უნდა ვნახო თვითონ!—

წინ წამოდგა მაშინ დათვი:
— ძმებო, თუ გაქვთ მოძმის ხათრი,
სულ უბრალო საქმე არის,
მივუტანოთ საჩუქარი.—

ერთი ცელქი მაიმუნი
სიტყვას ამბობს თავაზიანს:
— მან მიართვას თაიგული,
ვინც ყველაზე ლამაზია!—

ჰა, დარეკა ტურამ ზარი,
ცხოველების მოდგა ჯარი.
— მასპინძელო, თუნდაც წამით,
დაგვანახეთ სპილო რამი.

2

თხუნელასთან ცელქი მელა
მიცუნცულდა ნელა-ნელა.
— დამერწმუნე, ჩვენი სპილო
არ იქნება ასი კილო,

634/3ло



1



2



3

1) **გაგარინის რაკეტა.** ნახატი **გივი ურუშაძეისა**, ყვარლის რაიონის სოფელ ოქტომბრის საბავშვო ბაღის აღსაზრდელი.

2) **გემი.** ნახატი **რამაზ ჯიბლაძისა**, 6 წლის. თბილისი.

3) **ქალები.** ნახატი **ქეთევან გოგოლაშვილისა**, 6 წლის. თბილისი.

4) **მიფრინავენ მერცხლები.** ნახატი **თამაზ შანშიაშვილისა**, 6 წლის. თბილისი.

4

ყდაზე: „ოქტომბრელთა რიგებში". ნახატი **რ. ცუცქირიძისა**

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, ქ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამეთოთხმეტე წელი ფასი 20 კაპ.

ტექ. რედაქტორი ი. არდიშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

გამომცემლობა „ნაკადული", რედაქციის მისამართი: თბილისი, ჰოლბანოვის ქუჩა, 91, ტელ. 5-37-38. გამოშვ. შეკვ. № 569, სტამბის შეკვ. № 2729 ტირაჟი 2 00 ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/IX 1961 წ.

ფერადი დაბეჭდილია ლითოოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина

Подписано к печати 11 ноября. 1961 г. Тбилиси, просп. Плеханова 91.